



## პერსონალურ მონაცემთა დაცვა

Save the Children International საქართველოს ოფისი



**Save the Children**

## ჩვენს შესახებ

Save the Children International ახდენს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას მონაცემთა მკონტროლებლის სტატუსით. ეს ნიშნავს, რომ SCI იღებს გადაწყვეტილებებს თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენებასა და მართვაზე და ანგარიშვალდებულია თავის გადაწყვეტილებებზე. SCI რეგისტრირებულია გაერთიანებული სამეფოს ინფორმაციის კომისრის ოფისში (No. Z3214775).

Save the Children International არის გარანტიით შეზღუდული კომპანია, რომელიც ინგლისსა და უელსში რეგისტრირებულია კომპანიის ნომრით 3732267 და საქველმოქმედო ორგანიზაცია, რეგისტრირებული ნომრით 1076822.

## როგორ უნდა დაგვიკავშირდეთ

თუკი რაიმე კითხვა გაქვთ კონფიდენციალურობის განაცხადთან ან თქვენი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, გთხოვთ, დაუკავშირდეთ მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელფოსტით მისამართზე: [dpo@savethechildren.org](mailto:dpo@savethechildren.org) ან ფოსტით შემდეგ მისამართზე:

The Data Protection Officer (მონაცემთა დაცვის ოფიცერი)

Save the Children International

St Vincent House,

30 Orange Street

London

WC2H 7HH

## როგორ ვიყენებთ თქვენს მონაცემებს თქვენი მომართვის შემთხვევაში

ელფოსტით, ტელეფონით ან წერილობით თქვენი მომართვის შემთხვევაში, ჩვენ პასუხის გაცემის მიზნით ჩავიწერთ თქვენს საკონტაქტო მონაცემებს და მიმოწერას. ორგანიზაციის მართვის ხელშეწყობისთვის, პერსონალური მონაცემების ამგვარად დამუშავების დროს, მონაცემთა დაცვის ტერმინოლოგიაში ჩვენს საკანონმდებლო საფუძველია “ლეგიტიმური ინტერესი”.

## როგორ ვიყენებთ თქვენს მონაცემებს როდესაც ჩვენგან იღებთ დახმარებას

თუკი თქვენ ან თქვენი ოჯახი იღებთ დახმარებას SCl -გან, ჩვენ მოგაწოდებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ვაპირებთ თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენებას და დაცვას, კონკრეტულად ამ სიტუაციასთან მიმართებაში. ჩვეულებრივ, ეს ხდება თქვენს შესახებ მონაცემების შეგროვებისას, ან მაშინ, როდესაც პროგრამაში ან აქტივობაში იწყებთ მონაწილეობას.

ჩვენს მიერ შეგროვებული მონაცემების სახეობა დამოკიდებული იქნება გარემოებებზე, თუმცა, როგორც წესი, ის მოიცავს თქვენს საკონტაქტო მონაცემებს, ოჯახში ან სახლში არსებულ მდგომარეობას, ინფორმაციას თქვენი დასაქმების ან განათლების შესახებ და ინფორმაციას, რომელიც დაგვეხმარება შევაფასოთ თქვენი საჭიროებები და ის, თუ როგორ შეგვიძლია დაგეხმაროთ. ზოგჯერ შეიძლება მოვითხოვოთ თქვენი ვინაობის დამადასტურებელი ინფორმაცია.

შეიძლება გთხოვოთ თქვენი ან თქვენი შვილის ისტორიის სიტყვიერი, ფოტო, ფილმის ან ხმოვანი სახით ჩანაწერის გაკეთება, რათა ადამიანებს მოვუყვეთ, როგორი ცხოვრება აქვთ ბავშვებსა და მათ ოჯახებს, მოვიზიდოთ თანხები და ხელი შევუწყოთ საქმიანობას, რომელსაც Save the Children ახორციელებს. მონაცემების ამგვარად შეგროვებისას, ჩვენ ყოველთვის ვითხოვთ თანხმობას. თუკი თქვენი ისტორიის გამოყენების შემთხვევაში რაიმე კითხვა გაგიჩნდათ, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მისამართზე: [contenthub@savethechildren.org](mailto:contenthub@savethechildren.org).

ჩვენ ასევე ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, როდესაც ვახორციელებთ ჩვენი პროგრამების მუშაობის მონიტორინგს და მათი ეფექტურობის შემოწმებას. ზოგჯერ ვატარებთ უფრო სიღრმისეულ კვლევას გაუმჯობესების იდენტიფიცირების და გლობალური მასშტაბით, ბავშვების ინტერესების ადვოკატირებაზე მიმართული ჩვენი მუშაობის ხელშეწყობისთვის. კვლევაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევის შემთხვევაში, ამის შესახებ ცალკე მოგეწოდებათ უფრო დეტალური ინფორმაცია.

ჩვენ ხშირად ვმუშაობთ სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან და შეიძლება მათ გავუზიაროთ ინფორმაცია, რათა დავრწმუნდეთ, რომ დახმარება იყოს მაქსიმალურად ეფექტური და არ მოხდეს მისი დუბლირება. თუკი დავაპირებთ თქვენი პერსონალური მონაცემების სხვა ორგანიზაციებისთვის გაზიარებას, ამის შესახებ გაცნობებთ.

თუკი გაქვთ რაიმე შეკითხვა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება თქვენი მონაცემების გამოყენება და მართვა, გთხოვთ გაესაუბროთ SCl-ის პერსონალის ადგილობრივ წევრს, რომელსაც შეეძლება დახმარების გაწევა, ან შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ მისამართზე: [dpo@savethechildren.org](mailto:dpo@savethechildren.org).

## როგორ ვიყენებთ თქვენს მონაცემებს, როდესაც ჩვენგან იღებთ დახმარებას უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით

ჩვენ ვმუშაობთ სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან, უკრაინის ომის შედეგად დაზარალებული ბავშვებისა და ოჯახების მხარდასაჭერად. ჩვენთან დარეგისტრირების დროს, ჩვენ მოგთხოვთ საკონტაქტო, საიდენტიფიკაციო მონაცემებს და ინფორმაციას თქვენი და თქვენი ოჯახის შესახებ. ამ მონაცემებს ჩვენ გამოვიყენებთ იმის შესაფასებლად, თუ რა სახის მხარდაჭერა შეგიძლიათ მიიღოთ უშუალოდ ჩვენგან ან სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან გადამისამართებით, მათ შორის:

- ოჯახების დახმარება ნაღდი ფულით ან ვაუჩერებით ისეთი ძირითადი საჭიროებებისთვის, როგორცაა: საკვები, ბინის იჯარის თანხა და მედიკამენტები;
- საკვების, ტანსაცმელის და სხვა პირველადი საჭიროების საგნებით უზრუნველყოფა;
- სერვისების მიწოდება ბავშვებისა და მათი ოჯახების ერთად ყოფნის უზრუნველყოფისა და ოჯახს მოკლებული ბავშვების მათ მეურვეებთან უსაფრთხო გაერთიანებისთვის;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის აუცილებელი ხელშეწყობა ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის
- ბავშვების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო საგნების კომპლექტებით და სასწავლო პროგრამებით, დაკარგული ცოდნის ანაზღაურების მიზნით.

ჩვენს მიერ, თქვენი პერსონალური მონაცემები უმეტესად გამოიყენება თქვენი თანხმობის საფუძველზე და თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ამ თანხმობის გაუქმება. თუკი თქვენ გსურთ თანხმობის გაუქმება ან რაიმე კითხვა გაქვთ თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით, პირველ რიგში გაესაუბრეთ SCI-ს პერსონალს ან დაუკავშირდით ელფოსტით მისამართზე [info.ucan@savethechildren.org](mailto:info.ucan@savethechildren.org). თუკი ჩვენ გვჭირდება თქვენი მონაცემების გამოყენების ვადის გაგრძელება, მაგ. ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებისთვის, ჩვენ ამას განვიმარტავთ თქვენ.

დახმარების კოორდინაციისა და დუბლირების თავიდან ასაცილებლად, შესაძლოა თქვენი ზოგიერთი პერსონალური მონაცემი გავუზიაროთ სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც რეგიონში ახორციელებენ დახმარებას, მათ შორის გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR), Save the Children მოძრაობაში მოქმედ სხვა ორგანიზაციებს და სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებს. სხვა ორგანიზაციებისთვის მონაცემების გაზიარების შემთხვევაში, ჩვენ ვიყენებთ ხელშეკრულებებს, რომელიც თქვენი მონაცემების გამოყენებასა და მართვას არეგულირებს. (ეს აბზაცი ინგლისურ ვარიანტში ორჯერ იყო გამეორებული)

## როგორ ვიყენებთ თქვენს მონაცემებს, როდესაც ჩვენთან ერთვებით სოციალურ მედიაში

ჩართულობის ბუნებიდან გამომდინარე, SCI-ს და პლატფორმის პროვაიდერების მიერ შეიძლება დამუშავდეს თქვენი პერსონალური მონაცემები, მათ შორის პროფილის ინფორმაცია, თქვენს მიერ მოწოდებული შინაარსობრივი მასალა და თქვენი ონლაინ აქტივობები და კავშირები. გთხოვთ შესაბამის პლატფორმაზე გაეცნოთ კონფიდენციალობის შესახებ ინფორმაციას. ასევე, თქვენ უნდა შეგეძლოთ თქვენი ანგარიშის პარამეტრების მორგება თითოეულ პლატფორმაზე, რათა მართოთ მონაცემთა გაზიარება, კონფიდენციალურობა და ხილვადობა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

**Save the Children International** საქართველოს ოფისი

## **როგორ ვიყენებთ თქვენს მონაცემებს თქვენი მხრიდან შემოწირულობის გაკეთებისას**

თქვენს მიერ, SCI-ში შემოწირულობის განხორციელებისას, ჩვენ ვიყენებთ თქვენს მიერ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებს თქვენს მიერ განხორციელებული გადახდის დასამუშავებლად და დახმარების შესახებ ჩანაწერების მომზადებისთვის. ჩვენი საქველმოქმედო მიზნების მისაღწევად, პერსონალური მონაცემების ამ გზით გამოყენებისას, მონაცემთა დაცვის ტერმინოლოგიაში ჩვენს საკანონმდებლო საფუძველია “ლეგიტიმური ინტერესი”.

ჩვენ ვიწერთ თქვენს სახელს და საკონტაქტო მონაცემებს, თქვენი შემოწირულობის სახეობას და თანხას, ჩვენი დონორების მონაცემთა ბაზაში და ელ. ფოსტის მართვის სისტემაში.

თქვენი სახელით განხორციელებული საბარათე გადარიცხვების დასამუშავებლად, ჩვენ ვიყენებთ გადახდების დამუშავების კომპანიას სახელწოდებით RaiseNow. RaiseNow არის კომპანია, რომელიც შესაბამისობაშია ბარათით გადახდის ინდუსტრიის მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან (PCI-DSS).

ჩვენ დროდადრო დაგიკავშირდებით ელფოსტით, რათა გაცნობოთ თქვენს მიერ განხორციელებული შემოწირულობით მიღებული გავლენის, ბავშვებთან ჩვენი მუშაობის შესახებ, პერიოდულად მოგიწოდებთ გადაუდებელი დახმარებისთვის და აგიხსნით, როგორ უნდა ჩაერთოთ ჩვენს კამპანიებსა და პეტიციებში. შემოწირულობის განხორციელების დროს, თქვენ შეგიძლიათ უარი თქვათ ამგვარი ელ. წერილების მიღებაზე და ასევე შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გააუქმოთ მიმოწერა წერილში მითითებულ ბმულზე.

ჩვენ არ გავუზიარებთ თქვენს საკონტაქტო მონაცემებს სხვა ორგანიზაციებს, მათი საკუთარი მარკეტინგული მიზნებისთვის გამოსაყენებლად, თქვენი წინასწარი თანხმობის გარეშე.

ფინანსური ტრანზაქციების შესახებ ჩანაწერს ვინახავთ არანაკლებ 7 წლის განმავლობაში, როგორც ამას გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა მოითხოვს. სხვა ჩანაწერებს ვაწარმოებთ სისტემატიურად, თქვენთან ურთიერთობის წარმართვის მიზნით. ჩვენ რეგულარულად ვამოწმებთ მონაცემთა შენახვის ვადებს.

თქვენს მიერ მნიშვნელოვანი შემოწირულობის შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს ინფორმაციის კონტროლის განხორციელება, მათ შორის თანხების წყაროების და თქვენი ნებისმიერი ბიზნეს ან სხვა ინტერესების შესახებ. ჩვენ ამას ვაკეთებთ Save the Children-ის რეპუტაციის დაცვის მიზნით და სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ჩვენს მიერ პერსონალური მონაცემების ამ მიზნით გამოყენებისას, მონაცემთა დაცვის ტერმინოლოგიაში კანონიერი საფუძველია „სამართლებრივი ვალდებულება“.

თუკი გაქვთ კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ შეძლებთ დახმარების გაწევას, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მისამართზე [donate@savethechildren.org](mailto:donate@savethechildren.org) და ჩვენ მოხარული ვიქნებით დაგეხმაროთ.

## **როგორ ვიყენებთ თქვენს მონაცემებს, კვლევაში თქვენი მონაწილეობის შემთხვევაში**

ჩვენს მიერ განხორციელებულ ან ჩვენი დაკვეთით მიმდინარე კვლევით პროექტში თქვენი მონაწილეობის შემთხვევაში, ჩვენ მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას მონაწილის შესახებ. თქვენ მოგეცემათ დრო, რათა ნებაყოფლობით დაეთანხმოთ მონაწილეობას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

**Save the Children International** საქართველოს ოფისი

კვლევის ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება გთხოვოთ თანხმობა თქვენი მონაცემების დამუშავებაზე ან შეიძლება დავეყრდნოთ სხვა კანონიერ საფუძველს. თქვენი თანხმობის გამოყენების შემთხვევაში, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გააუქმოთ ის. მონაწილის შესახებ ინფორმაციაში ჩვენ აგისხნით, როგორ უნდა გააკეთოთ ეს.

სხვა პირებთან ან ისეთ ორგანიზაციებთან მუშაობის შემთხვევაში, როგორცაა უნივერსიტეტები და თქვენს შესახებ ინფორმაცია მათთან იქნება გაზიარებული, ეს მოხდება საჭიროების საფუძველზე და ამას გაცნობებთ მონაწილის შესახებ თქვენთვის მოწოდებულ ინფორმაციაში. ჩვენ ასევე განვიმარტავთ, თუ როგორ იქნება გამოყენებული და გაზიარებული კვლევის შედეგები.

## **როგორ ვიყენებთ თქვენს მონაცემებს, როდესაც თქვენ ჩვენთვის მუშაობთ**

აპლიკანტებს და თანამშრომლებს, რეკრუტირების პროცესის შესაბამის ეტაპზე ცალკე ეძლევათ კონფიდენციალურობის განაცხადი. თუ თქვენ ხართ ამჟამად მოქმედი თანამშრომელი, თქვენ ინტრანეტის საშუალებით გეძენებთ წვდომა თანამშრომლის კონფიდენციალურობის სრულ განაცხადზე. თუკი თქვენ ხართ ყოფილი თანამშრომელი და გაქვთ რაიმე შეკითხვა თქვენს მონაცემებთან დაკავშირებით, გთხოვთ, დაუკავშირდეთ მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელფოსტით მისამართზე [dpo@savethechildren.org](mailto:dpo@savethechildren.org), სადაც ნათლად მიუთითებთ თქვენს შეკითხვას და წინა თანამშრომლობის დეტალებს.

## **თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვა**

SCI-ი იღებს ზომებს თქვენი ინფორმაციის დაცვის უზრუნველსაყოფად. ჩვენ გვყავს გამოყოფილი ინფორმაციული უსაფრთხოების გუნდი, რომელიც ზედამხედველობას და მონიტორინგს უწევს ჩვენი IT სისტემების დასაცავად ტექნიკურ ზომებს და უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის გაკონტროლებას. ჩვენი ყველა თანამშრომელი გადის სავალდებულო ტრენინგს მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის უსაფრთხოების შესახებ.

როდესაც ჩვენს მიერ ხდება სხვა ორგანიზაციებს ჩართვა SCI-ის სახელით მონაცემების დამუშავებაში, ჩვენ ვამოწმებთ, იღებენ თუ არა ისინი ადგილზე შესაბამის ზომებს მონაცემების დაცვის მიზნით და ასევე ჩვენ მათთან გვაქვს ხელშეკრულებები, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ მხოლოდ ჩვენი ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედებას.

ჩვენ შემუშავებული გვაქვს მონაცემების შემცველი ინციდენტების მართვის სისტემები და პროცედურები და ვმოქმედებთ მონაცემთა დარღვევის შესახებ მარეგულირებლებისთვის შეტყობინების მოთხოვნების დაცვით.

## **თქვენი უფლებები პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით:**

თქვენ გაგაჩნიათ უფლებები თქვენს პერსონალურ მონაცემებზე. შეგიძლიათ მოითხოვოთ:

- ნებისმიერი უზუსტობის ჩასწორება
- პერსონალური მონაცემების გამოყენების შეწყვეტა (ზოგიერთ შემთხვევაში)
- თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლა (ზოგიერთ შემთხვევაში)
- თქვენთვის პერსონალური მონაცემების ასლის გადაცემა

მოთხოვნა შეიძლება განახორციელოთ:

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

**Save the Children International** საქართველოს ოფისი

- [ამ ფორმის](#) შევსებით
- ელ-ფოსტის საშუალებით: [subjectaccessrequest@savethechildren.org](mailto:subjectaccessrequest@savethechildren.org)

მოთხოვნის განხორციელება შეგიძლიათ ნებისმიერ დროს. ჩვენგან პასუხს მიიღებთ არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში. თუკი გამონაკლის შემთხვევაში პასუხისთვის მეტი დრო დაგჭირდება, ამის შესახებ მოგაწვდით განმარტებას. თქვენი მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, ჩვენ ჩვეულებრივ გთხოვთ რაიმე საიდენტიფიკაციო ინფორმაციის მოწოდებას.

თუკი არ ხართ კმაყოფილი იმით, როგორ ამუშავებს SCI-ი თქვენს პერსონალურ მონაცემებს ან როგორ გიპასუხეთ თქვენს მოთხოვნაზე, თქვენ ასევე გაქვთ უფლება პრეტენზიით მიმართოთ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

## მონაცემების გაზიარება

ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ. SCI-ს თაღლითობისგან დაცვის მიზნით), ჩვენთვის შეიძლება აუცილებელი იყოს თქვენი პერსონალური მონაცემების სხვა ორგანიზაციებისთვის გაზიარება. თუკი ამის გაკეთებას შეუძლებთ, ჩვენ ამასთან დაკავშირებით ვიქნებით გამჭვირვალე. ძალიან მცირე შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევები, სადაც ეს შეუძლებელია, მაგ. თქვენი ან ვინმე სხვა პირის კეთილდღეობასთან დაკავშირებული საფრთხის არსებობის ან ჩვენი მხრიდან სამართლებრივი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში.

თქვენი წინასწარი თანხმობის გარეშე, ჩვენ არ გავუზიარებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს სხვა ორგანიზაციებს, მათი მხრიდან მარკეტინგული მიზნების განხორციელებისთვის.

## მონაცემების შენახვა

ჩვენ მხოლოდ იქამდე შევინახავთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას, სანამ ეს აუცილებელი იქნება იმ მიზნის შესასრულებლად, რისთვისაც იგი შეგროვდა და ასევე ამასთან დაკავშირებული მიზნებისთვის, და ზოგიერთ შემთხვევაში, კანონმდებლობით ან რეგულაციებით განსაზღვრული კონკრეტული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

## საერთაშორისო ტრანსფერები

თუკი თქვენი მონაცემების დამუშავება მოიცავს მათ ისეთ იურისდიქციაში გადაცემას, რომელიც არ არის აღიარებული, როგორც პერსონალური მონაცემების დაცვის „ადეკვატური“ დონის მქონე, ჩვენ დავადგენთ შესაბამის მექანიზმს თქვენი მონაცემების დასაცავად და გაერთიანებული სამეფოს ან სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებისთვის.